ჩვენი გაზეთი იუბილარია, 90 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



90 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №5 (7104) 1 მარტი 2024 წელი

„თებერვალმა სამუდამოდ დამიზამთრა მაისი...“

23 თებერვალი—იუნკერთა ხსოვნის დღე

23 თებერვალს, იუნკერთა ხსოვნის დღეს, ხალხმრავლობა იყო გმირთა თერჯოლის მემორიალთან!

მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან ერთად გვირგვინით შეამკო გმირთა დიდების მემორიალი და პატივი მიაგო იუნკერთა ხსოვნას.

თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტმა გიორგიმ, სასულიერო პირებთან ერთად, ქართველ იუნკერთა სულის მოსახსენიებელი პარაკლისი გადაიხადა.

გაჟღერდა საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

☞8

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესს, ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტს, მეუფე გიორგი შალამბერიძეს

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესს, ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტს, მეუფე გიორგის ქრისტესმიერი სიყვარულით ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვმადლობთ უფალს, რომ მუნიციპალიტეტის მრევლთან ერთად, მრავალი წლის მანძილზე გვეძლევა საშუალება დავესწროთ მის მიერ აღვლენილ სამეუფეო მსახურებას და მოვისმინოთ უბრალო, გულიანი და მრავლისმთქმელი ქადაგება. მეუფე მუდამ გამოირჩევა თავისი განსწავლულობითა და უბრალოებით. წარმოუდგენელია, მოუსმინო და სულიერ საგზლად არ გაგყვეს უბრალოებით წარმოთქმული საოცარი სწავლება ღვთისა და მოყვასის სიყვარულზე. თავადაც ხომ ასეთია—მეუფის ცხოვრება ერთი დიდი, უბრალო და მრავლისმთქმელი ქადაგებაა.

თქვენო მეუფებავ, უფალმა არ მოგაკლოთ ჯანმრთელობა და ბედნიერ წელთა სიმრავლე, რათა თქვენეული მხნეობითა და შემართებით კვლავაც დიდხანს იღვაწოთ ღვთის სადიდებლად და მოყვასის სულის გადასარჩენად.

მრავალჟამიერ თქვენს მეუფებას!

ქრისტესმიერი სიყვარულითა და მოკრძალებით
მანუჩარ რობაქიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი
გიორგი ბარათაშვილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დედის დღე და რვა მარტი, ერთად მოგვილოცნია!

☞3, 5

„თქვენ, ქვეყანა უნდა ჩაიბაროთ!“

22 თებერვალს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრში, 2022 წლის ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელ კურსდამთავრებულებს, ახლა უკვე მეორე კურსის სტუდენტებს ელოდნენ, მათთვის მედლები უნდა გადაეცათ.

მედალოსნებმა, იგივე დარბაზში მსხდომმა სტუდენტებმა გაიხსენეს მუნიციპალიტეტის მერის მანუჩარ რობაქიძის თანადგომა—საახალწლოდ მისგან გადაცემული ფულადი ჯილდო და კეთილი სურვილები.

თითოეული მედალოსნისათვის მედლის გადაცემა სამახსოვრო კადრებად აღიბეჭდა.

☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

დახმარება სტიქიით დაზარალებულთ...

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარება გრძელდება.

თერჯოლის მერიამ სტიქიით დაზარალებულებს სამშენებლო მასალები გადასცა.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, 6-7 თებერვლის სტიქიით დაზარალებულთა ოჯახებს, რომელთაც საცხოვრებელი სახლის სახურავები დაუზიანდათ, მუნიციპალიტეტის მერიამ საჭირო სამშენებლო მასალები გადასცა.

მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, რამდენიმე ოჯახი პირადად მოინახულა და დაზიანებული სახლების სარეაბილიტაციო პროცესი ადგილზე დაათვალიერა.

შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები-დავით გოგბერაშვილი და ჯემალ ისაკაძე, ადმინისტრაციულ ერთეულებში მაჟორიტარი დეპუტატები და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ძევრულას კარსტულ ხეობაში

სოფელ ძევრში, მდინარე ძევრულას კარსტულ ხეობის რეკრეაციულ ზონაში დასრულების ეტაპზეა მიმდინარე სამუშაოები, რომლებიც ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერმა-მანუჩარ რობაქიძემ დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში, შშმ პირთათვის მოეწყო ადაპტირებული სივრცე, რეკრეაციულ ზონაში უკვე განხორციელდა საპიკნიკე ფანჩატურების, გარე განათების, გამოქვაბულამდე მისასვლელი ბილიკის, მდინარე ძევრულაზე გადასახედი გამჭვირვალე კონსტრუქციის და საინფორმაციო შენობის მოწყობა.

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები—დავით გოგბერაშვილი, ჯემალ ისაკაძე, სოფელ ძევრის თემის, ჩხარისა და გოგნის მაჟორიტარი დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში მანუჩარ ფანჩულიძე და მერის წარმომადგენელი ძევრის თემში ფრიდონ კუტალაძე.

თერჯოლის მუნიციპალიტეტისთვის უმნიშვნელოვანესი ტურისტული ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, აპრილის თვეში ოფიციალურად გაიხსნება და მზად იქნება ვიზიტორების მისაღებად.

სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

რამდენიმე დღის წინ დაიწყო ზედა და ქვედა ალისუბნის ცენტრალურ საავტომობილო გზაზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, გზის აღნიშნულ მონაკვეთზე არმირებული ბეტონის საფარის დაგება.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მიმდინარე სამუშაოებს ადგილზე გაეცნო, მანუჩარ რობაქიძემ სარეაბილიტაციო პროცესი საკრებულოს თავმჯდომარესთან, გიორგი ბარათაშვილთან ერთად დაათვალიერა. შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

პროექტი რგფ -იდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება. მისი საერთო ღირებულება 312293 ლარს შეადგენს. პროექტის მიხედვით, სოფელ ალისუბანში ერთ კილომეტრამდე გზა მოეწყობა ინფრასტრუქტურულ პროექტს შპს „სანდრო“ ახორციელებს.

იმავე დღესვე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გოდოგანში, ჭიჭინაძე-ბრეგვაძეების უბანთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზაც დაათვალიერეს, სადაც შპს „ჯეო როუდ ინვესტი“ ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოებს აწარმოებს.

პროექტი რგფ-იდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს, მისი ღირებულება 313783 ლარს შეადგენს, პროექტის ფარგლებში გოდოგანის აღნიშნულ მონაკვეთზე ერთ კილომეტრამდე სიგრძის გზის კეთილმოწყობა მოხდება.

მორიგი დასუფთავების აქცია

ამ დღეებში თერჯოლის მუნიციპალიტეტში მორიგი მასშტაბური დასუფთავების აქცია მოეწყო, რომელიც მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ერთდროულად დაიწყო და მასში მონაწილეობა, ადმინისტრაციულ ერთეულებში, მერის წარმომადგენლობის თანამშრომლებმა და დასაქმების პროგრამაში ჩართულმა სოციალურად დაუცველმა პირებმა მიიღეს.

დასუფთავების აქცია თერჯოლის მერიის ორგანიზებით და ა(ა)იპი დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის მხარდაჭერით განხორციელდა და მას დღის განმავლობაში, მერის პირველი მოადგილე - ზვიად ბაზაძე შეუერთდა. ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები.

აქციის მთავარ მიზანს წარმოადგენდა, ჯანსაღი, მოწესრიგებული გარემოს შექმნა და საზოგადოების პასუხისმგებლობის და ცნობიერების დონის ამაღლება.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში...

თერჯოლის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა.

სამუშაო შეხვედრაზე საბჭოს წევრები თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნენ. შეხვედრაზე ასევე განიხილეს პროექტები, რომლებიც საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში უნდა შესრულდეს.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სახლდაზიანებული ოჯახების 2024 წლის დახმარების სახელმწიფო პროგრამის შესახებ. აღნიშნული სოციალური დახმარების პროგრამა თერჯოლაში 2019 წლიდან ხორციელდება, რომლის ფარგლებში ამ დრომდე მუნიციპალიტეტში 29 სახლი აშენდა.

მრჩეველთა საბჭოს სამუშაო შეხვედრას, თერჯოლის მერის მოადგილეები ზვიად ბაზაძე, მირზა ქოჩიაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე გაიჟღერა ახალმა ინიციატივებმა, საბჭოს წევრებმა: ზურაბ აბესაძემ და მარიამ ბუსკივაძემ საინიციატივო წინადადებები დაასახელეს, რომლის მიხედვითაც, მერიის ხელშეწყობით მუნიციპალიტეტში, სკოლის მოსწავლეებისთვის, შემეცნებითი სამაგიდო თამაშების და ინგლისური ენის გაღრმავების მიზნით, ახალგაზრდული კლუბების შექმნა დააანონსეს.

„თქვენ, ქვეყანა უნდა ჩაიბაროთ!“

1☞

შეხვედრა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა ქეთევან შეყრილაძემ გახსნა, მიულოცა მათ სტუდენტობა და მედლების სახით შეფასებული შრომის შედეგი, წარმატებები უსურვათ მომავალ საქმიანობაში, კმაყოფილება გამოთქვა, რომ იზრდება მედალოსანთა რიცხვი, გაიხსენა ის შეზღუდვები, რაც ათეული წლების წინ იყო მედლების გაცემასთან დაკავშირებით, დღემდე ახსოვს გულწყვეტა, როგორ დარჩა მედლის გარეშე. ქეთევანმა ისურვა ყოფილიყვნენ უფრო მეტნი, ვიდრე ახლა, მითუმეტესს, რომ 2022 წლის კურსდამთავრებულთაგან მედალი 60-მა მიიღო. მე, როგორც ქეთევანზე ასაკით უფროსს, დეტალებში გამახსენდა ეს ფაქტი. დიახ, ქეთევანმა და მისმა ორმა თანაკლასელმა, პირველი კლასიდან ფრიადოსნებმა, ვერ მიიღეს ოქროს მედლები—ბევრნი ხართო.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა კერძო სკოლა „მზეკაბანის“ დირექტორი აზა მემანიშვილი „ცხოვრების მედალოსნებიც იყავით“, „თქვენ ქვეყანა უნდა ჩაიბაროთო“—თქვა მან. სტუდენტმა ელენე რობაქიძემ მადლობა გადაიხადა და თანატოლებს წარმატებები უსურვა.

დარბაზში იყვნენ იმ მედალოსანთა მშობლები, რომელთა შვილებიც ვერ მოვიდნენ მედლების გადაცემაზე, მათ მონაწილეობით თავისებურად საინტერესო გახადეს მედლების გადაცემის ცერემონიალი, რომლებსაც ქალბატონები ქეთევან შეყრილაძე, მაია რობაქიძე და სოფო ჩუბინიძე გადასცემდნენ.

ხუთშაბათი დღე იყო, 2024 წლის 22 თებერვალი. „თქვენ ქვეყანა უნდა ჩაიბაროთ“—ეს სიტყვები როგორც მოთხოვნა ისე გაისმა.

ჟუჟუნა ცხადაძე

დედის დღე და რვა მარტი, ერთად მოგვილოცნია!

იოსებ გრიშაშვილი

ჰაერში ოქრო ლივლივებს,
მთებზე ზურმუხტი, ლალია,
აფსუს, რა კარგი დღე არის!
აფსუს, რამდენი ქალია!

სადა ხართ ლამაზმანებო,
მოდით დამათვრეთ ბუნებით,
ამივსეთ ტუჩის ყულაბა
მაგ კოცნის უზალთუნებით.

თორემ ვბერდები... და გულმაც
ლოდინის შხამი გალია,
ჰაუ, რა კარგი დღე არის!
ჰაუ, რამდენი ქალია!

„დედობრივი სკოლები“— სკოლამდელი აღზრდა თერჯოლაში

დიდი ამოცანების წინაშე დგას სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი და საბავშვო ბაგა-ბაღები. 26 ბაგა-ბაღში 500 თანამშრომლიდან 455 ქალია. ყველა მათგანის სურვილია ბავშვის ინდივიდუალურ ინტერესებზე დაყრდნობით და მათი საჭიროებების დაკმაყოფილებით ბავშვი იყოს დამოუკიდებელი და ბედნიერი.

ახლა ბაგა-ბაღებში ეტაპობრივი ავტორიზაციისათვის მზადება მიმდინარეობს. საბავშვო ბაგა-ბაღებმა უკვე გაიარეს თვითშეფასება, იგი საფუძვლად დაედება ავტორიზაციის გავლის განრიგს 2029 წლის ბოლომდე. მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იზრდება სკოლამდელ განათლებაზე გამოყოფილი თანხები.

თუზის, ახალთერჯოლის, ნაგარევის, ზედა ალისუბნის, 26 მაისის, საზანოს, თერჯოლის №3 ბაგა-ბაღები თანამედროვე სტანდარტების მიხედვით არის აშენებული. მიმდინარეობს ძევრის საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც ფუნქციონირებას 2025 წლის იანვრიდან შეუდგება. 17 საბავშვო ბაღი ნაწილობრივ არის რეაბილიტირებული, სამზარეულოები, სველი წერტილები ყველა ბაღში წესრიგშია, 7 ბაღში მოწყობილია ცენტრალური გათბობის სისტემა, სხვა ბაღებში შეშის ღუმელებით თბებიან.

მუნიციპალურ ცენტრში, რომელიც ბაგა-ბაღებს მართავს დასაქმებულია 13 თანამშრომელი და ყველა ქალია. სწორედ ქალები, ჩვენი მშვენიერი, შრომისმოყვარე და ძლიერი ქალები უქმნიან ბაღებში ჩარიცხულ ათასამდე ბავშვს საჭირო სააღმზრდელო პირობებს, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ბავშვთა ცხოვრება ბაღებში იყოს საინტერესო, მიმზიდველი, უსაფრთხო.

მუნიციპალიტეტის მერია სწორედ ამ განსაკუთრებული შრომისათვის უქმნის ბაგა-ბაღებს მუშაობისათვის საჭირო პირობებს. ადგილობრივ ბიუჯეტში კვლავ გაიზრდება სკოლამდელი განათლების მიმართულებით გაწეული ხარჯები.

„გისურვებთ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს“

ეს თერჯოლაში მოქმედი აფთიაქების სლოგანია. აქ ასე, გასაგებად და ემოციურად გამოხატავენ ძირითად სათქმელს. აფთიაქის თითოეული თანამშრომელი განსაკუთრებული თავაზიანობით არის გამორჩეული, გულისყური მთლიანად საქმისაკენ აქვთ მიპყრობილი, აქ შეცდომის დაშვება არ შეიძლება.

ვულოცავთ მათ დედის დღეს!

ავერსის №1 აფთიაქის თანამშრომლები: ელისო გიგაშვილი, შორენა შუღლაძე, ანა ამბროლაძე, ნინო ცხადაძე, ირინა ზუზაძე, მაია კენჭოშვილი, აზა მაჩიტიძე,

ამ ფოტოზე არ არიან: ტატიანა ოდიკაძე, თამარ ბაგრატიონი, ია ჭანკვეტაძე.

ავერსის №2 აფთიაქის თანამშრომლები: ირინა მეტრეველი, თამარ ფრუიძე, ნათია აბულაძე, ნათია გოგიაშვილი, ნუკი რობაქიძე, ირინა გუმბერიძე, ანა კუბლაშვილი.

პსპ-ს აფთიაქის თანამშრომლები: ნანა რობაქიძე, ეთერ ჩიხლაძე, ნათია ნებიერიძე, შორენა ფერაძე, სოფიკო რობაქიძე, ელზა თუთარაშვილი, ნელი გავაშელაშვილი, ნინო ბარამაძე, მაგდა გაბრიჩიძე, თამარ სარდანაძე

ანნა ჩიხლაძე—100

სოფელ ქვედა სიმონეთში მცხოვრები ანნა ჩიხლაძე 100 წლის გახდა!

უხუცეს ქალბატონს, დაბადების დღე მუნიციპალიტეტის მერმა - მანუჩარ რობაქიძემ მიულოცა.

100 წლის იუბილარს, მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარესთან გია ბარათაშვილთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად სახლში ესტუმრა.

მუნიციპალიტეტის მერმა, იუბილარ ანნა ჩიხლაძეს ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე უსურვა.

ფარმადეპოს აფთიაქის თანამშრომლები: მელანო გამეზარდაშვილი, ია ფანჩულიძე, ნინო გურგენიძე, სალომე კვინიკაძე, ნინო მხეიძე, ნინო ჭურაძე, ნინო ქოჩიაშვილი, ეკა ბოჭორიშვილი

ერთი ჩვეულებრივი დღე ძევრის საჯარო სკოლაში

რეპორტაჟი

ძევრის საჯარო სკოლაში რეჟისორ ტატო პატარიძესთან შესახვედრად წავედი. ტატოს ძევრის სკოლაში რამდენიმე სპექტაკლი აქვს დადგმული და მინდოდა მასზე ორიოდე თბილი სიტყვა მეთქვა. ტატოს ვერ შევხვდი და არც მიცდია მასზე მონაცემები მომეპოვებინა, რადგან შეხვედრა საუკეთესო საშუალებაა წერილი უფრო საინტერესო გამოვიდეს, ამიტომ უნდა დაველოდო! სამაგიეროდ ე.წ. „დიდ შესვენებაზე“ შევესწარი ღონისძიებას „პოეზიის ხუთი წუთი“. მე-6 კლასის მოსწავლე გაბრიელ მეფარიძემ და მესამეკლასელმა ალექსანდრე გუგუშვილმა სამშობლოსადმი მიძღვნილი პატრიოტული სულისკვეთებით სავსე ლექსები წაიკითხეს. სკოლის დერეფანში მუდამ დგას სკამები, რადგან ყოველდღე იკრიბებიან პატარ-პატარა ღონისძიებებზე. მხატვრულად წაკითხულმა ლექსებმა მოწონება და ხანგრძლივი ტაში დაიმსახურა. უფროსკლასელ ავთანდილ ქოჩიაშვილს დაბადების დღე ტრადიციული სიმღერით მიულოცეს, „ჩვენებური საზეიმო ოვაციააო“ დირექტორმა მანუჩარ ფანჩულიძემ და უწყვეტ ტაშს ფეხების წამიერი ბაკუნი დაემატა.

მალე ბატონი მანუჩარი განთავისუფლდა. ძევრში, ჩხარის შემოვლით, ჭედვა ავტობუსით ძლივს ასული „ხელცარიელი“ ხომ ვერ წამოვიდოდი. სხვადასხვა დროს სკოლაში ჩატარებულ ღონისძიებებზე, განხორციელებულ პროექტებზე მქონდა ინფორმაციები, მაგრამ დაზუსტება და დირექტორთან შეთანხმება აუცილებლად ჩავთვალე და „კნოპკიანი“ ტელეფონი, ავტოკალამი და ფურცლები დავდე მაგიდაზე, ბატონ მანუჩარს ეგონა უახლესი ტექნიკური საშუალებებით „აღჭურვილი“ ვიქნებოდი და გაოცებული დარჩა.

კითხვებს სწრაფად პასუხობდა, ვერ ვასწრებდი ჩაწერას, სახლში დაბრუნებულმა საკუთარი ჩანაწერებიდან ნახევარი ვერ ამოვიკითხე, რაც დამამახსოვრდა საუბრიდან და ზოგიერთმა საიმედო ჩანაწერმა რა საშუალებაც მომცა ისე და იმდენი დავწერე.

სამასწავლებლოში

გახარებული არიან სკოლის პედაგოგები, აქ თქვეს, რომ მალე ახალი სკოლის მშენებლობა დაიწყება, რომელიც 5 მილიონამდე ლარი დაჯდება. ბევრ, ჩემთვის სასარგებლო საუბარსაც მოვკარი ყური—მასწავლებლებმა, მოგვიანებით მანუჩარმა სამადლობელი მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, რესურსცენტრის ხელმძღვანელების მიმართ არაერთხელ გაიმეორეს. დირექტორმა არ იცოდა „სამასწავლებლოს ამბები“ და დაჯდომისთანავე მითხრა—მალე ახალი სკოლა გვექნებაო.

ზოგადი ამბები

სკოლაში 136 მოსწავლეა, ყველა მასწავლებელი სტატუსიანია, თითოეული ცდილობს მის ამაღლებას და კარიერულ წინსვლას, შარშან 16 კურსდამთავრებული ჰყავდათ, ყველა მათგანი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია, ზოგი გრანტით, ზოგი უგრანტოთ. ერთი ვეტერინარულ კოლეჯში ჩაირიცხა—სოფელს გამოვადგებიო, ერთიც, ზურა ფორჩხიძე, ჯარში წავიდა—სამშობლოს დამცველთა რიგებში მირჩევნიაო.

სკოლაში აქტიური, ინტერესიანი ბავშვები არიან, სკოლის თითქმის ყველა მოსწავლე ჩართულია სხვადასხვა სასკოლო, სარაიონო თუ რესპუბლიკურ ღონისძიებებში, სახეზეა გამარჯვებები, სიგელები და დიპლომები. სკოლას ჰყავს მაღალი აკადემიური მოსწრების, სხვადასხვა შემოქმედებითი უნარებით დაჯილდოებული მოსწავლეები. ჰყავდათ და წელსაც ელოდებიან მოხალისე მასწავლებელს „მშვიდობის კორპუსიდან“, რაც ხელს შეუწყობს სწავლა-სწავლების პროცესს.

ის, რაც ყველგან არ არის

ბეისბოლის გუნდი, რომელსაც საქართველოს ბეისბოლის ფედერაცია უწევს ორგანიზებას, ძევრის სკოლაში კარგახანია ჩამოყალიბებულია, ეს სკოლა ერთადერთია სოფლის სკოლებიდან ქვეყნის მასშტაბით; უკვე დაიწყო საკვირაო სკოლის და საზაფხულო ბანაკის მოწყობის სამუშაოები, ბანაკში ჩართულნი იქნებიან მოსწავლეები ქვეყნის მასშტაბით; „ძევრის სკოლის სიკეთის კლუბი“ საქველმოქმედო საქმიანობას 2013 წლიდან ეწევა. კლუბში გაერთიანებული მოსწავლეები და ისინიც კი, ვინც კლუბის წევრი არ არის, აგროვებენ ტანსაცმელს, პროდუქტებს, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს და ეხმარებიან ყველას, ვისაც დახმარება ძალიან სჭირდება. საქველმოქმედო მუშაობაში ჩართულნი არიან მშობლები, მასწავლებლები; საბავშვო თეატრი აქ თითქმის 10 წელია არსებობს, დადგმულია 9 სპექტაკლი, რომელშიც ყველა ასაკის მოსწავლეა ჩართული; კინოკლუბში, მრავლად არიან გაერთიანებული მოსწავლეები, ისინი ბევრს კითხულობენ ცნობილი მსახიობების, რეჟისორების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, უყვართ ფილმების ყურება და თანდათან თვითონაც ეუფლებიან „მსახიობობას“. მათ ეს ყველაფერი ეხმარებათ ეზიარონ ამ ხელოვნებას.



ოთხი წელი და 8 ფილმი

ამ საქმის მოდელირება მეოთხე წელია მიმდინარეობს. გადაღებულია „ხრესილი“, „პირველყოფილი ტომის ცხოვრება“, „ხმალმა გაგვასწოროს“, „ჯარისკაცის მამა“, „კონსტანტინოპოლის დაცემა“, „ჯვაროსნული ომები“, „ინდიელთა ცხოვრება“. ცხადია ფილმები 2-3 წუთიანია, პატარ-პატარა სიუჟეტებით, მაგრამ მრავლისმთქმელია, მიუთითებს ბავშვთა ინტერესსა და ნიჭიერებაზე. სამწუთიანი ფილმი „შინდისის გმირები“ უპირველესად ამ სოფლის მკვიდრის, სკოლის კურსდამთავრებულის, გმირულად დაღუპული შმაგი სოფრომაძის და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული ყველა მებრძოლის ხსოვნას მიეძღვნა. მონაწილენი: ზაზა სოფრომაძე, ვოვა ფანჩულიძე, მათე ზაქარიაძე, აკაკი ზაქარიაძე, ლაზარე პატარიძე, მათე ხოსიაშვილი, გიორგი აბჟანდაძე, სანდრო ბრეგაძე, ანდრია აბულაძე, მისი მამა ალიკა აბულაძე, ვახტანგ მეფარიძე, ლუკა ფანჩულიძე, კიდევ ლუკა ფანჩულიძე, როგორც ნამდვილი პროფესიონალები ისე მიიღო მაყურებელმა. მანუჩარ ფანჩულიძე ამბობს, რომ ძალიან დაეხმარათ გიორგი ფხალაძე, მირზა აბულაძე. XII კლასის მოსწავლე ლილე ფანჩულიძემ გააკეთა ფილმის მონტაჟი. ფილმის გადაღებას წინ უძღოდა პატივის მიგება გმირებისადმი, ამიტომ იყვნენ შინგან დაკომპლექტებულ გუნდს ხელმძღვანელობს, ბარბარეს მათთან ერთად სკოლაში გამართული ღონისძიებების ორგანიზება უწევს. ორი წლის წინ გადაეცა მას სკოლის წინა „თავი ქალიდან“ ესტაფეტა და სკოლის დამთავრების შემდეგ ბარბარე „თავიქალობას“ სხვას გადასცემს, ჯერ არ იციან ვინ იქნება ის.

ქველმოქმედება

ათ წელზე მეტია „ასოციაცია ბავშვებისათვის“ დამფუძნებელი ქეთი მაკლეინი ძევრის სკოლასთან თანამშრომლობს. დისის მემორიალზე, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, დიდგორის ველზე... ფილმი თბილისში გამართულ ფესტივალზე დაჯილდოვდა მთავარი პრიზით—„ოქროს პეპელა“.

„ბავშვ ლექტორთა კლუბი“

კლუბი ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო საქმიანობას. აქ გაერთიანებულნი ეჩვევიან „ლექციებს“, საჯარო გამოსვლებს, აზრის გამოხატვას, იძენენ ცოდნას, სურათები და ვიდეოჩვენებები სხვადასხვა საკითხებზე მიმზიდველს ხდის კლუბის მუშაობას. კლუბს XII კლასის მოსწავლე მათე ზაქარიაძე ხელმძღვანელობს. ნაყოფიერად მუშაობს პროგრამირების, პროექტების დაგეგმარებისა და მართვის გუნდი, ე.წ. „სტაფი“, წინ არის წამოწეული ეროვნულ-პატრიოტული მიმართულებები.

სკოლის „თავი ქალი“

XI კლასის მოსწავლე ბარბარე კალატოზი 12 მოსწავლისაგან დაკომპლექტებულ გუნდს ხელმძღვანელობს, ბარბარეს ეგი ძევრის სკოლის კურსდამთავრებულებს, რომლებიც სტუდენტები ხდებიან, უკლებლივ ყველას, ვისაც არ აქვს სახელმწიფო დაფინანსება ქეთი მაკლეინი აფინანსებს.

სკოლას დიდ დახმარებას უწევენ სკოლის ყოფილი კურსდამთავრებულები, ახლა ბიზნესმენები: მალხაზ გიორგაძე, ზვიად მეფარიძე, დიმიტრი მესხი, რესტორან „ძევრულის“ მეპატრონე მარლენ სულამანიძე.

* * *

სიტყვაძვირია სკოლის დირექტორი, თუ მაინც რამეს ათქმევინებ, იტყვის მოსწავლეებზე, მასწავლებლებზე, ქველმოქმედებზე, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ყველა წარმატების თავი და თავი ყველგან და ცხადია აქაც, პირველი პირია. მთავარი ისაა, რომ მანუჩარ ფანჩულიძე ბავშვებს აჩვევს დამოუკიდებლობას, ეროვნული სულისკვეთებით მათ აღზრდას აყენებს ყველაფერზე მაღლა და წინ...

ჟუჟუნა ცხადაძე

დედის დღე და რვა მარტი, ერთად მოგვილოცნია!

გულწრფელი სიყვარულით მიძღვნილი იები

არ არსებობს მასწავლებლობაზე უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი პროფესია... გასცემ ცოდნას, სითბოს, სიყვარულს, ერთგულებასა და მეგობრობას და მალევე გაორმაგებულად გიბრუნდება. სწორედ ქვაზე დადებული მადლივით წინ ხვდება და ასაზრდოებს, უფრო მეტ ენერგიას და მოტივაციას აძლევს მოსწავლეების თუ ყოფილი მოსწავლეებისაგან მიღებული მადლიერებისა და სიყვარულის გამომხატველი ჟესტები ქალბატონს, რომელიც დღევანდელი გაზეთისათვის შევარჩიეთ და ჩვენს მკითხველებს უნდა გავაცნოთ.

ეს გახლავთ ნინო ქლიბაძე, რუფოთის საჯარო სკოლის მასწავლებელი, რომელიც 30 წელზე მეტია მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება და ამას აკეთებს ბავშვებისადმი და პროფესიისადმი უდიდესი სიყვარულით.

ზესტაფონის რაიონის სოფელ დილიკაურში დაიბადა, იქვე დაამთავრა საჯარო სკოლა. 1987 წელს თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩაირიცხა, პედაგოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც 1992 წელს წარჩინებით, წითელ დიპლომზე დაამთავრა. სასწავლებლის დამთავრებისთანავე ახალბედა პედაგოგს მშობლიურმა სკოლამ ნდობა გამოუცხადა და ნინო მასწავლებლობის მეტად საპასუხისმგებლო ფერხულში ჩაება.

2000 წელს ბედი, სოფელ რუფოთში მცხოვრებ, დიმიტრი გოგიაშვილს დაუკავშირა. 2006 წლიდან კი ამავე სოფლის სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებლად დაინიშნა. 2011 წელს სასერთიფიკაციო გამოცდის საფუძველზე უფროსი მასწავლებლის, ხოლო 2019 წელს წამყვანი მასწავლებლის სტატუსით მასწავლებლობს.

ნინომ კარგად შეუთავსა ერთმანეთს სამსახური და დიდი ოჯახის დიასახლისობა, მეუღლეობა და დედობა. არაერთ თაობასთან ერთად დაზარდა შვილები—გალაქტიონ და თამთა გოგიაშვილები. ისინი ჯერ კიდევ მოსწავლეობის პერიოდში გაიცნო ჩვენმა მკითხველმა, როგორც მათემატიკურ კონკურსებში არაერთგზის გამარჯვებულნი და სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტივობების მონაწილენი. დღეს ისინი ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტები არიან. ამასთან ნინო, ინჟინერ მეუღლესთან ერთად, სახელოვნად აგრძელებს ქართული ოჯახის ტრადიციებს.

და მაინც სკოლა, მოსწავლეები მისთვის უპირველესი ზრუნვის საგანია, დიდი პასუხისმგებლობა აქვს უპირველესად სამშობლოს წინაშე, შემდეგ თითოეული მოსწავლის, მათი მშობლების, ოჯახების წინაშე. პირველი კლასიდან მოყოლებული მეოთხე კლასის ჩათვლით პატარებთან მუშაობა დიდ ძალისხმევასა და ენერგიას მოითხოვს და მეტიც, სწორედ ამ წლებში უნდა ჩამოუყალიბდეს თითოეულ მოსწავლეს სწავლისადმი დადებითი განწყობა. ყოველნაირად ცდილობს ბავშვებს ისეთი სასკოლო გარემო შეუქმნას, რომ სკოლაში მიუხაროდეს და ყოველი დღე შინაარსიანი, დადებითი ემოციებითა და აღმოჩენებით იყოს დატვირთული.

ბევრი რამ არის დამოკიდებული მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესის მართვის ხელოვნებაზე, ის ხომ გარკვეულწილად აქტიორია და ნინოც ამის გათვალისწინებით ცდილობს განახორციელოს ისეთი აქტივობები, რომლებითაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა გონების უკეთ მობილიზებასა და წაკითხულის გაგება-გააზრების უნარების განვითარებას, რადგან ამ უნარზეა დამოკიდებული მოსწავლეთა შემდგომი აკადემიური და ინტელექტუალური განვითარება.

ხშირად ატარებს წაკითხული წიგნების პრეზენტაციას, მოსწავლეებისათვის კითხვის სიყვარულის გაღვივება და წაკითხულის გააზრება-გადმოცემა მისი მუშაობის ერთ-ერთი ამოცანაა.

საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებითაა დატვირთული ნინოსა და მისი მოსწავლეებისათვის მთელი სასწავლო წელი. ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლე აქტიურია და ცდილობს ლამაზად და გონივრულად წარმოაჩინოს კლასი. ასეთი არაერთი ღონისძიება გამართეს მიმდინარე თუ წინა სასწავლო წელს.

საოცრება იყო გასულ წელს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი აქტივობები, რომელიც რუფოთის საჯარო სკოლაში ყველა მოსწავლისათვის სიურპრიზი იყო, მესამეკლასელები კი თავიანთი ლამაზად მომზადებული აქტივობით შეუერთდნენ საერთო მხიარულებას.

ულამაზესი იყო ოქროსფერი შემოდგომის პრეზენტაცია, შემოდგომის ზეიმი, რომელიც კომპლექსური დავალების შესაბამისად დატვირთული იყო სხვადასხვა აქტივობით. მოსწავლეებმა შესწავლილი ნაწარმოების მიხედვით წარმოადგინეს „მკითხველთა თეატრი“, წაიკითხეს წერილები, რომლებიც თავად მისწერეს „მოწყენილ“ ოქტომბერს, გააკეთეს ჩურჩხელების რეკლამა, ასევე შექმნეს პოეზიის ხელნაკეთი წიგნი „შემოდგომის სიმფონია“, ისაუბრეს შემოდგომის თემაზე შექმნილი საკუთარი ნამუშევრების შესახებ, წაიკითხეს ლექსები, მშობელთა ჩართულობით ამოავლეს ჩურჩხელები.

საინტერესოდ აღნიშნეს აგრეთვე: დედის დღე, წიგნის საჯაროდ კითხვის დღე, გარემოს დაცვის დღე და სხვა მნიშვნელოვანი თარიღები ახალი წელი, აღდგომა და სხვა.

ნინო მასწავლებელი სრულად ეთანხმება და იზიარებს აზრს, რომ სასწავლო პროცესში სამაგიდო თამაშების გამოყენება ერთ-ერთი საუკეთესო გზაა მოსწავლეთა მოტივირებისა და სწავლისადმი ინტერესების ასამაღლებლად. სამაგიდო თამაშები, რომლებიც დაწყებითი საფეხურის ბავშვებისათვის სპეციალისტების მიერ არის შექმნილი, ეხმარება ბავშვებს როგორც მათემატიკური, ასევე ენობრივი უნარების განვითარებაში. ამის შესაბამისად ცდილობს ყველა სიახლე და რეკომენდაცია დანერგოს თავის პედაგოგიურ პრაქტიკაში. ნინო აქტიურად მონაწილეობს ისეთ კონფერენციებში, რომლებიც მასწავლებელთა პროფესიულ ზრდასა და სწავლების ხარისხის ამაღლებას ისახავს მიზნად. ერთი სიტყვით ყველაფერს აკეთებს, რომ მოსწავლეები იყვნენ ყოველმხრივ განვითარებული და მაღალი აკადემიური მოსწრების, რაც შედეგშიც აისახება. შემდეგ საფეხურზე გადასული მისი მოსწავლეები ყოველთვის ამართლებენ მასწავლებლების იმედს, ისინი სანიმუშო სწავლით გამოირჩევიან.

„ნინო ჩემო ძვირფასო და მართლაც მასწავლებელო, გილოცავ დაბადების დღეს. ადამიანების ღირსება წლების სიმდიდრით იზომება, თქვენ კი განვლილი გზებით... მინდა დიდხანს იცოცხლოთ და იხაროთ საოცარ ოჯახში და გაუკვალოთ გზები პატარებს, ისე როგორც ჩემს შვილს... მადლობა ყველაფრისთვის და მადლობა, რომ ხართ ჩემი მეგობარიც, მასწავლებელიც, კოლეგაც და ჩემი შვილის სულის გამომწრთობი. გილოცავთ ღვთისნიერო ადამიანო“... ამ სიტყვებით მშობელმა სხვა მშობლების სათქმელი და გულწრფელი მადლობა გამოხატა ნინო ქლიბაძის მიმართ.

წელს ნინო მეოთხეკლასელთა მასწავლებელი და დამრიგებელია, მალე სასწავლო წელი დასრულდება, დასრულდება 4 წლიანი ყოველდღიური სასწავლო ურთიერთობა აღმზრდელსა და აღსაზრდელებს შორის, თუმცა არასოდეს გაწყდება ის უხილავი ხაზი, რომელმაც ერთმანეთთან სიყვარულის, სითბოსა და ცოდნის ლამპარი აანთო და არასოდეს ჩაქრება.

სექტემბრიდან კი პატარები დაიკავებენ მათ ადგილს და კიდევ ერთ თაობას, შემდეგ კიდევ უამრავს გულში ჩაიკრავს და „აი იას“ მადლს აზიარებს.

მანამდე კი დედის დღესა და ქალთა საერთაშორისო დღეს, ნინო მასწავლებელს, მეოთხეკლასელები გულწრფელი სიყვარულითა და გაზაფხულის ყვავილებით მიულოცავენ და დედასავით საყვარელ ქალბატონს მრავალჟამიერ სიცოცხლეს უსურვებენ.

მზია ცქიფურიშვილი

„ბიბლიოთეკა მარტო წიგნსაცავი კი არა, კაცობრიობის გონების სინთეზია“

თერჯოლის საჯარო, საბავშვო ბიბლიოთეკებში, სოფელ სიქთარვის, ჭოგნარის, ქვ. სიმონეთის ბიბლიოთეკებში დასაქმებული ყველა, 38 თანამშრომელი ქალია. საქმის მცოდნე სპეციალისტები, კეთილსინდისიერად, ერთგულად ემსახურებიან საყვარელ საქმეს. ერთგვარი ვალდებულებაა წაიკითხონ ახალი წიგნი, დაამუშაონ და ისე დადონ თაროზე. ბიბლიოთეკებში ხშირად ტარდება საინტერესო ღონისძიებები ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით. კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეები ბიბლიოთეკების ხშირი სტუმრები არიან, ღონისძიებები მათი და აქტიური მკითხველების მონაწილეობით ტარდება.

თანდათან იზრდება წიგნადი ფონდი, ხდება მათი დამუშავება, ტარდება ინვენტარიზაცია და გაწმენდა. სულ მუნიციპალიტეტის მოქმედ ბიბლიოთეკებში 57 267 წიგნია. ყოველწლიურად საშუალოდ 4500-ზე მეტ მკითხველს უწევენ მომსახურებას, იცემა 65 000-ზე მეტი წიგნი.

პრობლემად რჩება ადრე წლებში გაუქმებული სასოფლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდის საკითხი. სოფელ თუზში, ჩხარში, ზედა საზანოში, კვახჭირში, გოდოგანში 25 500 წიგნია, დანარჩენი სოფლების წიგნები სულ 27 000 ეგზემპლარი საჯარო ბიბლიოთეკაშია, ერთიან ფონდში.

ოჯახის ექიმი—ეს იმედია

ოჯახის ექიმის კაბინეტის წინ რიგი დგას. ყოველი შემოსული სვამს კითხვას—თუ ვინ არის ბოლო. აბრის წაკითხვას მზამზარეული პასუხი ამჯობინა ერთმა და იკითხა—რომელი ექიმია დღეს? დიდი ხანია შესულია?—კითხულობს ბოლოს მოსული და ასე, თავის ტკბილ-მწარე ფიქრებში მყოფი პაციენტებისათვის ნელა გადის დრო. თუმცა, ნელა კი არ გადის...

კლინიკა იმერმედის ოჯახის ექიმი ხათუნა კირკიტაძე დიდ დროს ანდომებს პაციენტის ავადმყოფობის მიზეზის დადგენას, კითხულობს არა მარტო ახლანდელ მდგომარეობას, არამედ ინტერესდება წინა პერიოდებით, საჭიროების შემთხვევაში იღებს ლაბორატორიული გამოკვლევების გადაწყვეტილებას, დიდი სიფრთხილით არჩევს წამალს და მოდიხართ იმ იმედით, რომ კვალიფიციური, გულისხმიერი ექიმის, ხათუნა კირკიტაძის დანიშნული მკურნალობა შედეგიანი იქნება.

ეიმედებათ პაციენტებს ხათუნა ექიმი, მის მიმართ სამადლობელს არ იშურებენ, უყვართ და ეს, როგორც თვითონ თქვა, მისთვის ყველაზე დიდი ჯილდოა.

ყოველდღე, დილიდან საღამომდე, ოჯახის ექიმის კაბინეტთან პაციენტები იმედით დგანან. ათეულობით პაციენტს იღებს ხათუნა და მისი კოლეგები ზოია დევნოსაძე და ნუცა ლეჟავა. სულ ერთია რომელი ექიმი იქნება ხათუნა, ზოია თუ ნუცა, სამივე მათგანი თავისი საქმის მცოდნეა, ასე ამბობენ პაციენტები და ქალბატონმა ხათუნამ კოლეგა ოჯახის ექიმებზე უფრო მეტი და კარგი სიტყვა თქვა, ვიდრე თავისთავზე. ამჯერად მასზე ჩვენ ვიტყვით, თუმცა რაც უნდა თქვა ვერ იქნება ამომწურავი, მისი შესაფერი.

ძალიან ახალგაზრდა იყო ჰიპოკრატეს ექიმის ფიცი რომ დადო, მას შემდეგ 24 წელი გავიდა და ფიცს დღემდე ერთგულებს. ქალბატონი ხათუნა წლებია საზანოს ამბულატორიაში მუშაობს ექიმად და იქაც ეიმედებათ. აქ მომუშავე კოლეგებთან ერთად დიდი შრომა გასწია კოვიდპანდემიასთან დაკავშირებით, სეზონური ვირუსების წინააღმდეგ ვაქცინაციის ჩასატარებლად. ეიმედებათ „იმერმედშიც“, როგორც მორიგე პედიატრი. კითხვაზე—რას ნიშნავს თქვენთვის გამოჯანმრთელებული პაციენტი, პასუხობს, რომ განწყობა ეცვლება, ხათუნა ექიმს უჭირს გამოხატოს სიხარული, რომელიც ეუფლება, მადლობა მისთვის ყველაზე დიდი საჩუქარია.

ბედნიერი ოჯახი აქვს ხათუნას, ჰყავს მეუღლე იაზონ აბულაძე და ერთი შვილი ვერა აბულაძე, სტუდენტი.

ადამიანებზე ზრუნვასა და ფიქრში ოჯახის ექიმისათვის დრო შეუმჩნევლად გადის, დაღლილი, მომავალ სამუშაო დღეზე, მომავალ მორიგეობაზე ფიქრობს, ათასგვარი მოულოდნელობებით სავსე დღეებზე...

კარგა ხანია ამოჭრა გაზაფხულის მაუწყებელმა პირველმა მახარობელმა ყვავილებმა, თან მოჰყვა ყველაზე ლამაზი დღესასწაულები—3 და 8 მარტი. მშვენიერ ქალბატონს ხათუნა კირკიტაძეს და მის გვერდით მომუშავე ოჯახის ექიმებს ვულოცავთ დედის და ქალთა დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ოჯახის კეთილდღეობას, კარგად ყოფნას, მშვიდობას დაესადგურებინოს მათ სულში, გონებაში, ოჯახებში, მშვიდობა ჰქონოდეთ მოყვასთან, ღმერთთან...

ჟუჟუნა ცხადაძე

ახალგაზრდობა იმედი ხვალის...
გოგონა დიდი მომავლით

მას სიბეჯითე არ აკლია და თუ ასე გააგრძელა ბარბარე მარუაშვილს დიდი მომავალი აქვს. ასე ამბობენ ბარბარეზე თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის აღმზრდელ-პედაგოგები, სადაც მე-6 კლასში სწავლობს. ასე ამბობენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის და სამხატვრო სკოლის მესვეურები და კიდევ —სპორტსკოლის მწვრთნელები, სადაც ბარბარე სპორტული აკრობატიკის სექციაში ვარჯიშობს ენთუზიასტი ქალბატონის, ფიზკულტურის პედაგოგ ლალი დიაკონიძის ხელმძღვანელობით.

ბარბარე დიდი დიაპაზონის მოსწავლეა, ფართოა მისი ინტერესების სფერო და საითაც გაიწევს, უეჭველად აღწევს წარმატებას. ბარბარეს 20-ზე მეტი დიპლომი, სიგელი, სამადლობელი ბარათი აქვს მიღებული სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხით, რომლებიც მის მიღწევებზე ღაღადებს. მხოლოდ რამოდენიმეს მოვიყვანთ:

ევროპული ფესტივალის „არტ უნიტეს უს“ დიპლომით ჯილდოვდება ქალაქ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის „თექა-გობელინის“ კლუბის მოსწავლე ბარბარე მარუაშვილი. ბათუმი, 8.12. 2023 წელი.

ქ. თბილისის ტანვარჯიშის ფედერაცია 2012 აჯილდოებს ბარბარე მარუაშვილს სპორტულ აკრობატიკაში ქ. თბილისის ღია პირველობაზე I ადგილის დაკავებისათვის. ფედერაციის პრეზიდენტი რ. ბერიკაშვილი. 9-10.12. 2023 წელი.

კომპანია „ნ სტუდია“ საქართველოს საპატრიარქოსთან პარტნიორობით დიპლომით აჯილდოებს ქ. თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლის მოსწავლეს ბარბარე მარუაშვილს ინტეგრირებულ გამოფენა-კონცერტში მონაწილეობისათვის. 20 მარტი 2022 წელი. აიპ „ნ სტუდიას“ გენერალური დირექტორი ნელი მჟავანაძე.

მადლიერების სიგელი მაღალი პასუხისმგებლობისა და გარემოსდაცვით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის გადაეცემა ბარბარე მარუაშვილს. (საქართველოს მწვანეთა მოძრაობის „დედამიწის მეგობრები საქართველოს“ თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე; თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ბარბარეს მიღწევები ხატვასა და სპორტულ აკრობატიკაში. მისი ხატვის ნიჭი რომ შეაფასო უნდა ინახულო ბარბარეს „არაჩვეულებრივი

გამოფენა“, რომელიც საცხოვრებელი სახლის ვრცელ ფოიეში აქვს მოთავსებული. ფერების როგორი ჯადოსნური შეზავება, ფუნჯის რა ვირტუოზული მოსმა, მხატვრული ხელოვნების რა დიდი თვალსაწიერი იკითხება მის მიერ, ჯერ კიდევ ბავშვური ხელით დაწერილ ჟანრობრივად სხვადასხვა ტილოებში. „აქ რომ ფერებია, ხაზთა შეკონება, ისე ნაგებია სიზმრის გეგონება“—მაპატიოს დიდი პოეტის სულმა სიტყვები რომ დავისესხე მისი შედევრიდან „ნიკორწმინდა“. ვაჭარბებ? შეიძლება, მაგრამ ბარბარეს ხატვის ხელოვნება წინ რომ უსწრებს მის ასაკსა და დროს არ უნდა ლაპარაკი.

ორიოდე სიტყვა სპორტულ მიღწევებზე და ამით დავამთავროთ. ჯერ კიდევ სულ პატარა იყო „შპაკატში“ რომ ჯდებოდა წუთობით თურმე და ფანტასტიკურ მოძრაობებს აკეთებდა. მისი მწვრთნელის დიდი დამსახურებაა, რომ ბარბარეში მზარდი სპორტსმენი დაინახა და ცდა არ დაუკლია მისი სპორტულ აკრობატიკაში დახელოვნებისათვის. დღესდღეობით ბარბარე უკვე ჩამოყალიბებული სპორტსმენია და მეწყვილესთან, ასევე ნიჭიერ სპორტსმენ ირინა გეწაძესთან ერთად, სხვადასხვა დონის შეჯიბრებებში წარმატებას წარმატებებზე აღწევს. განსაკუთრებული მიღწევა, გასული წლის მიწურულს, თბილისის ღია ჩემპიონატში გამარჯვება იყო. ფინალურ შერკინებაში რომ გამოაცხადეს სპორტული აკრობატისტები თერჯოლიდანო, გაისუსა დარბაზი. ხალიჩაზე ჩვენი გოგონები შესასრულებლად ურთულეს და ტექნიკურად დახვეწილ კომბინაციებს აკეთებდნენ. ბოლო ილეთი მართლაც ფანტასტიკური იყო და მაყურებელთა ოვაციებიც დაიმსახურეს. ეს უკვე მასტერ კლასიაო—ამბობდნენ ისინი, არც შემცდარან,—მკაცრმა ჟიურიმ ჩემპიონატის გამარჯვებულად თერჯოლური წყვილი აღიარა. მოცემულ ფოტოზე, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სწორედ ბარბარესა და ირინეს ხედავთ სპეციალური დიპლომებით ხელში.

ამ შედეგებით ორივენი მუნიციპალიტეტის წლის 10 საუკეთესო სპორტსმენთა სიაში მოხვდნენ, რაზეც უკვე ვაუწყეთ მკითხველებს ჩვენი გაზეთის საახალწლო ნომერში.

და ბოლოს გვინდა მადლიერება გამოვხატოთ ყველა აღმზრდელ-პედაგოგისა და მწვრთნელის მიმართ, რომლებიც თავს დაზრუნავენ თავიანთ აღსაზრდელებს, უნდათ ბარბარესნაირ მრავალმხრივად ნიჭიერ ახალგაზრდებს სწორი ორიენტაცია მისცენ, აღიზარდონ საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანებად. აქ იცხოვრონ, აქ იყვნენ წარმატებულნი და არა საზღვრებს გარეთ, მდიდრულად და სამშობლო მონატრებული.

ი. ერაძე

აქ სილამაზეს ალამაზებენ...

პროფესიის სიყვარულმა თავისი გაიტანა. სტილისტმა ხატია კვარაცხელიამ, თავის მეგობრებთან ვიზაჟისტ თეონა მანიასთან, მანიკურის სპეციალისტ ნათია ოგანესიანთან ერთად, თერჯოლის ცენტრში, გახსნა სილამაზის სალონი „გლამური“. სამივე მათგანი სიყვარულით, მონდომებით ცდილობენ ემსახურონ თერჯოლელებს. უხარიათ ხატიას, თეონას, ნათიას, რომ ისედაც ლამაზ ქალბატონებს კიდევ უფრო ალამაზებენ.

საქველმოქმედო აქცია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მძიმე სოციალურ პირობებში მცხოვრებ და შშმ ბავშვებს საჩუქრები გადაეცათ.

აქცია მუნიციპალიტეტის მერიის ხელშეწყობით და ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის მონაწილეობით ჩატარდა. აქციამ 120 ბავშვი მოიცვა.

ანსამბლ „ჭიუხის" მორიგი დიდი წარმატება

ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის ფილიალის ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო-საგანმანათლებლო სკოლის ახლადდაფუძნებულმა ანსამბლმა „ჭიუხმა" მონაწილეობა მიიღო „ბორჯომ-ბაკურიანის ზამთრის ფესტივალი-2024"-ზე და მოიპოვა დამსახურებული პირველი ადგილი. ანსამბლმა აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი და მქუხარე აპლოდისმენტები დაიმსახურა. ეს დიდი გამარჯვება ანსამბლის ხელმძღვანელის გულთამზე კუბლაშვილის და კონცერტმაისტერ რამაზ მემანიშვილის დამსახურებაა. მათ წინ კიდევ ბევრი წარმატება ელოდებათ.

მორიგ წარმატებას ვუსურვებთ ანსამბლის წევრებს, სამუსიკო სკოლისა და მათ ხელმძღვანელებს.

ნატო აბაშიძე

გარდაიცვალა ბარდუბნის საჯარო სკოლის უცხო ენის ყოფილი პედაგოგი ნატო აბაშიძე, რომელიც 8 მარტს—ქალთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს 73 წლის გახდებოდა.

ბარდუბნის საჯარო სკოლა მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს ნატო აბაშიძის ოჯახს.

ნატო აბაშიძე წლების განმავლობაში გახლდათ ბარდუბნის საჯარო სკოლის ფრანგული ენის მასწავლებელი. კოლეგების გულში ის ყოველთვის დარჩება როგორც თბილი, მოწესრიგებული და სანდომიანი ადამიანი.

ნათელში ყოფილიყოს ნატო მასწავლებლის სახელი!

ბარდუბნის საჯარო სკოლის
პედაგოგიური კოლექტივი და
ტექნიკური პერსონალი

ვალერი კვინიკაძე

ხანმოკლე შეიქმნა მისი წუთისოფელი. სულ რაღაც 51 წლისა გარდაიცვალა.

არ ყოფილა მისთვის ამიერში ცხოვრება მარტივი—ბობოქარი უფრო სწორი იქნებოდა შეფასებისათვის... პრობლემებიც არ მოჰკლებია, მაგრამ ჭმუნვასა და ტკივილ-მწუხარებას არ იმჩნევდა. ერთადერთი, უცხოეთში მოსწავლე, ქალიშვილის ჯავრი ტანჯავდა მუდმივად. ემზადებოდა კიდეც მასთან ჩასასვლელად და შესახვედრად—ეგებ საქართველოში დავმკვიდრდეთ საცხოვრებლადო, მაგრამ არ დასცალდა...

უსაზღვროდ უყვარდა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ისტორია, წინაპრები, ტრადიციები, ქართული ლექსი, მშობლები, რომლებიც ადრე გარდაეცვალა. ამაყობდა, რომ მისი ერთი ბაბუა—ვალერიან კვინიკაძე, ვისი სეხნიაც იყო, 80-ზე მეტი წლის წინ, მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა.

წავიდა ძალიან, ძალიან ნაადრევად... წავიდა და დაგვიტოვა დიდი გულისტკივილი, ბევრი ტბილ-მწარე მოგონება...

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური ბარდუბნის მიწა.

მარადიული ნათელი მის ხსოვნას.

სამეგობრო

სანთელი და ლოცვა

ზეციური საუნჯე

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში გთავაზობთ მამა დავითის მორიგ საუბარს, სადაც იგი მოგვითხრობს სანთელისა და ლოცვის მნიშვნელობის შესახებ.



სანთელი

სანთელი არის ლოცვის სიმბოლო, ღვთისმსახურების კუთვნილება და საეკლესიო შესაწირიც. გთხოვთ განგვიმარტოთ მისი მნიშვნელობა.

სანთელი წარმოადგენს ღმერთთან ურთიერთობის გარეგან გამოხატულებას.

სანთელი წმიდათაწმიდა სიმბოლოა ღვთიური დიდებისა, რადგანაც სახარებასა და საეკლესიო საგალობლებში ღმერთი მოხსენიებულია, როგორც მარადიული „ნათელი", (ან) ხოლო ანგელოზები და წმიდანები—როგორც „ლამპარმნათები სამყაროისა".

„იგი იყო სანთელი აღნთებული და საჩინო; ხოლო თქვენ ინებეთ ჟამ-ერთ სიხარულის ნათელსა მისსა" (იოანე 5,35).

„მერმეცა ეტყოდავე იესო, და ჰრქუა მათ: „მე ვარ ნათელი სოფლისა, რომელი შემომიდგეს მე, არა ვიდოდეს ბნელსა, არამედ აქუნდეს ნათელი ცხოვრებისა" (იოანე 8,12). ხოლო სული ადამიანისა მოხსენებულია, როგორც სარწმუნოებით, სასოებითა და სიყვარულით განათებული.

ქრისტემ დათრგუნა სიკვდილი და მარადიული სიბნელის სამყარო—ჯოჯოხეთი, სანთელი როგორც ღმერთმსახურების წმიდა კუთვნილება, გამოხატავს ამ უზენაესი გამარჯვებით გამოწვეულ საეკლესიო სიხარულსა და ზეიმს.

ანთებული სანთელი, როგორც ხილული იდუმალება, ასახიერებს ღვთიურ მადლს, მარადიულ სულიერ ნათელს.

სანთელი ადის ღმერთამდე ქებათაქებად მისი ძლიერებისა, სამადლობელად მისი მოწყალებისა, ცოცხალთა და მიცვალებულთა ცხონებისათვის, ვინაიდან სანთელი ძვირფასი შესაწირია ღვთის წინაშე და მაცხოვრისადმი ჩვენი მარადიული დამოკიდებულების უმორჩილეს აღიარებად.

ხატის წინ დანთებული სანთელი არის ლოცვის ხილული ნიშანი, მისი იდეალური რაობა, მისი დედაარსი, სახე „გონიერი ნათლისა", რომელიც ავსებს მადლით ქმნილებას და აერთიანებს შემოქმედთან.

ლოცვა

ადამიანს აქვს მოთხოვნილება სწამდეს, უყვარდეს, თაყვანს სცემდეს და იმედი ჰქონდეს ჭეშმარიტი ღმერთისა. ადამიანი ამ ღვთისმოსაობას წმინდა ლოცვის საშუალებით გამოხატავს. ამგვარად შეგვიძლია ლოცვას ჩვენ ღმერთის მიმართ სულის ამაღლება ვუწოდოთ.

ლოცვით მორწმუნე ადამიანი გულით საუბრობს თავის შემქმნელთან, ყოვლისშემძლე უფალთან და ქვეყნიერების შემოქმედის მიმართ თავის უსაზღვრო მადლიერებას და პატივისცემას გამოხატავს. როგორც წმინდა მამები ამბობენ ლოცვა არის სუნთქვა სულისა.

განსაკუთრებული ძალა და დატვირთვა აქვს ორმოცდღიან ლოცვას. ძველ აღთქმაში მოსემ ღმერთისაგან სჯულის მიღებამდე ორმოცი დღე გაატარა სინას მთაზე, ხოლო ახალ აღთქმაში თავად მაცხოვარმა, იესო ქრისტემ ორმოცი დღე იმარხულა უდაბნოში. ცოდვებისაგან განსაწმენდად ორმოცდღიანი მარხვის შენახვისაკენ მოგვიწოდებს ჩვენი დედაეკლესია. ამგვარად ეს ორმოცდღიანი პერიოდი არის განსაწმენდელი და მოსამზადებელი დრო ღვთისაგან მადლის მიღებისა.

ჭეშმარიტი ლოცვისას გვეუფლება სიმდაბლე, თავდადება, მადლიერება, დიდებისმეტყველება, მიმტევებლობა, ღვთის ნებისადმი მორჩილება. ესენი არის ის უპირატესობები, რომელთაგან ავსილი სული ათბობს გულს. ასეთი გულით აღვლენილი ლოცვა ნამდვილი ლოცვა იქნება.

ასეთები იყვნენ წინა თაობები...

ცაცა ბოგვერაძე—ეწერში ცხოვრობდა და წლების განმავლობაში კოლმეურნეობაში მეჩაიედ მუშაობდა. იგი იყო შრომის წითელი დროშის, შრომის დიდების, მეორე და მესამე ხარისხის ორდენების კავალერი, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენების მონაწილე. ყოველწლიურად რვა ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს კრეფდა, მოუკრეფია 9 ტონა ჩაის ფოთოლიც, რაც ჰექტარზე გაანგარიშებით რეკორდული იყო.

ნუცა ჩუბინიძე—ასაკოვანიც კი კვლავ მოწინავეთა რიგებში იდგა და ვერცერთმა ახალგაზრდამ ვერ მოხსნა მისი რეკორდი, 100 კილოგრამამდე ხარისხიან აბრეშუმის პარკს აბარებდა ყოველწლიურად აბრეშუმის დამამზადებელ პუნქტებს. იგი იყო მრავალი ჯილდოს მფლობელი, ორდენების კავალერი, არაერთხელ მიუღია მონაწილეობა მეაბრეშუმეთა რესპუბლიკურ შეკრებებზე, იყო რესპუბლიკაში აღიარებული მეაბრეშუმე.

***

კარგა ხანია მშვენიერმა ქალბატონებმა ცაცა ბოგვერაძემ და ნუცა ჩუბინიძემ სამუდამო განსასვენებელში დაიდეს ბინა. ბევრმა არ იცის რა საინტერესო, შინაარსიანი ცხოვრება ჰქონდათ, როგორ შრომობდნენ, იღვწოდნენ, ქმნიდნენ და მაგალითს აძლევდნენ ახალგაზრდებს, მაღალი ავტორიტეტი ჰქონდათ, ყველა იცნობდა და პატივს სცემდა მათ, სიცოცხლეშიც და სიკვდილის შემდეგაც... მეჩაიესა და მეაბრეშუმის შრომის ამსახველ მასალებს გაზეთ „წინსვლის" გაყვითლებული ფურცლები ინახავენ—ნათელი ჰქონდეთ მათ თავიანთ სამუდამო განსასვენებელში.

მანანა და დავით კლდიაშვილები მწუხარებაში თანაუგრძნობენ ოჯახს, ახლო ნათესავებსა და მეგობრებს

ვალერიან კვინიკაძის

გარდაცვალების გამო.

მანანა და დავით კლდიაშვილები მწუხარებაში თანაუგრძნობენ მამუკა ბარდაველიძეს დედის

ნატო აბაშიძე-ბარდაველიძის

გარდაცვალების გამო.

„თებერვალმა სამუდამოდ დამიზამთრა მაისი...“

23 თებერვალი—იუნკერთა ხსოვნის დღე

მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის აღსაზრდელებმა იუნკერთა ხსოვნის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ოსტატურად წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია—„თებერვალმა სამუდამოდ დამიზამთრა მაისი...“, რომელიც 1921 წლის თებერვლის იმ დღეებზე ემოციურად მოუთხრობდა დიდების მემორიალზე შეკრებილთ.

ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ა(ა)იპები, ქუთაისის სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა ლიცეუმის კადეტები, საჯარო სკოლების მოსწავლეები და მოსახლეობა ესწრებოდა.

1921 წელს, თბილისის სამხედრო სკოლის იუნკრებმა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის წინააღმდეგ კოჯორ-ტაბახმელასთან თავი მამაცურად გაწირეს.

აღნიშნული ტრაგედიიდან დღემდე 103 წელი გავიდა.

ეს ლექსი
პოეტმა კოლაუ ნადირაძემ
1921 წლის თებერვლის იმ
ტრაგიკულ დღეებს მიუძღვნა

თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ძილ-ღვიძლად იგო ქალაქი ჩვენი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი.
–
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს,
ისევ წამების ჯვარი აგკიდეს,
არ შეგიბრალეს, კვლავ არ დაგინდეს!
თოვდა და თბილისს ებურა თალხი.
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
დაცხრა კოჯორი და ტაბახმელა,
მხოლოდღა თოვლი ცვიოდა ნელა,
ეფინებოდა გმირების გვამებს –
განგმირულ მკერდებს, დალეწილ
მკლავებს,
და უძრავ იყო თებერვლის ღამე.
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით
ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალამი,
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, –
წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით
ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით!
თოვდა... და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი!

ქართველმა მებრძოლმა, მერაბ დვალიშვილმა, „UFC“-ის ორი წონის ყოფილი ჩემპიონი, ჰენრი სეხუდო დაამარცხა!

კალიფორნიაში „UFC 298“-ის ღონისძიებაზე სუპერმსუბუქ წონაში ქართველი მებრძოლი მერაბ დვალიშვილი ამერიკელ ჰენრი სეხუდოს დაუპირისპირდა და მეტოქე სამრაუნდიან ბრძოლაში დაამარცხა.

მერაბ დვალიშვილს შერეულ ორთაბრძოლებში უკვე 21 ბრძოლა აქვს გამართული, რომელთაგანაც 17 მოიგო, ოთხში კი დამარცხდა. რაც შეეხება ჰენრი სეხუდოს, ის „UFC“-ის ორი წონის ყოფილი ჩემპიონი და თავისუფალ ჭიდაობაში ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელია.



შეგახსენებთ, რომ დღეს „UFC 298“-ის ღონისძიებაზე იბრძოლებს კიდევ ერთი ქართველი, ილია თოფურია, რომელიც საჩემპიონატო ქამრისთვის ქვემსუბუქი წონის მოქმედ ჩემპიონ ალექსანდრ ვოლკანოვსკის დაუპირისპირდება.

ვულოცავთ!

ისტორიაში „UFC“-ის პირველი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ილია თოფურიაა!

კალიფორნიაში „UFC 298“-ის ღონისძიების ფარგლებში ქვემსუბუქი წონის საჩემპიონო ქამრისთვის ოქტაგონზე ერთმანეთს ქართველი მებრძოლი ილია თოფურია და მოქმედი ჩემპიონი ავსტრალიელი ალექსანდრ ვოლკანოვსკი დაუპირისპირდნენ.

ბრძოლაში ილია თოფურიამ ვოლკანოვსკი ნოკაუტით დაამარცხა და პირველი ქართველი მებრძოლი გახდა ვინც „MMA“-ს ყველაზე პრესტიჟული ორგანიზაციის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება შეძლო. ჟოზე ალდოს, კონორ მაკგრეგორის, მაქს ჰოლოვეისა და ალექსანდრ ვოლკანოვსკის შემდეგ ილია თოფურია მეხუთე მებრძოლია, ვინც ქვემსუბუქი წონის ჩემპიონობა იზეიმა.



ისტორიულ დაპირისპირებამდე ილიამ 14 ბრძოლა გამართა და ყველა დაპირისპირება გამარჯვებით დაასრულა. აღსანიშნავია, რომ დღეს „UFC 298“-ის ღონისძიებაზე იასპარეზა კიდევ ერთმა ქართველმა მებრძოლმა მერაბ დვალიშვილმა, რომელმაც „UFC“-ის ორი წონის ყოფილი ჩემპიონი ჰენრი სეხუდო დაამარცხა.

ვულოცავთ!

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872